საგადახდო დავალება
Payment Order

1566054278 GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 19/08/2019

გადამხდელი / Sender

შპს ჰეფი, 402084285

რეფერენსი / Ref. Num.

2825157673

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE57TB7758636020100006

თანხა / Amount

10,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ათი ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name შპს ჰეფი, 402084285

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 402084285

მიმღები / Receiver

ბაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი

Document submission/receiving date

19/08/2019

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა

Signature

დამტებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ელექტრონულია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები

Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2019 წლის 16 ივლისის №000858 მითითება და 2019 წლის 19 ივლისის №000858 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "ჰეფი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №402084285, დირ. თეონა ზაქაიძე (პირადი №01011006995), მის: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №91) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ლისი, საკ. კოდი №72.16.21.649-ში შ.პ.ს. "ჰეფი"-ს მიერ განხორციელდა ქართულ-ფრანგული ღვინის ტექნოლოგიების სამეცნიერო-სასწავლო კვლევითი ცენტრის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3343983 AR1513454 17.07.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: შეცვლილია რელიეფის ნიშნულები. ფასადებზე +12.42 ნიშნულის ზევით პარაპეტზე შეცვლილია დეკორატიული ელემენტების ვიზუალი და სიმაღლე. ნაწილობრივ შემცირებულია ფანჯრების სიგანე, სიმაღლე და ადგილმდებარეობა. +0.00 და -3.50 ნიშნულებზე შეცვლილია ფანჯრების ვიზუალი. შეცვლილია აივნების მოაჯირების ნახატი. სართულებზე დამატებით მოწყობილია ფრანგული აივნები. ფასადი „1"-„9" ღერძზე: +0.00 და +4.60 ნიშნულებს შორის შეცვლილია დეკორატიული კოლონების ვიზუალი, კოლონებზე გაუქმებულია კარნიზები. +12.40 ნიშნულზე 1-3 და 7-9 მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილები. შეცვლილია კარნიზების ვიზუალი. ფასადი „A"-„H" ღერძზე: C-D მონაკვეთში -3.50 ნიშნულზე შეცვლილია ფანჯრის ფორმა და ვიზუალი. ფასადი „H"-„A" ღერძზე: F და E ღერების მიმდებარედ +12.40 ნიშნულზე დამატებით მოწყობლია მონოლითური ფილები. გეგმების მიხედვით: შემცირებულია კოლონების ზომები. შემცირებულია გარე კედლების სისქე. D-C და 3-4 მონაკვეთების გადაკვეთაზე შეცვლილია კიბის ფორმა და საფეხურების რაოდენობა. მონოლითური და ბლოკის კედლები პროექტში წარმოდგენილია ერთი ფაქტურით. დამატებით მოწყობილია რიგელები. რიგელების ნაწილი არ შეესაბამება საპროექტოს. -3.50 ნიშნულზე: 1-3 და G-H მონაკვეთების გადაკვეთაზე მოწყობილია ორმო. შემცირებულია იატაკის ფილის სისქე. სართულის სიმაღლე არ შეესაბამება

ექტოს. +0.00 ნიშნულზე: 3-6 მონაკვეთში გაზრდილია მონოლითური ის გაბარიტები. 3-3 ღერძის გარეთ ბაქანზე დამატებით მოწყობილია ომირება. კიბის გაბარიტები და პანდუსის ფორმა არ შეესაბამება საპროექტოს. კიბის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია ბეტონის ფილა, რომელიც სცდება საკადასტრო საზღვარს. პანდუსის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია არმირება და კედლისთვის განკუთვნილი ქარგილი, აღნიშნული არმირების და ქარგილის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვარს. +4.60 ნიშნულზე: შემცირებულია ატრიუმის სიგრძე. 4-5 მონაკვეთში გაზრდილია ფილის სიგანე. კიბის უჯრედში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. +12.40 ნიშნულზე: დამატებით მოწყობილია კოლონები და რიგელები. ტერასების გაბარიტები ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს. B-C და 3-4 მონაკვეთების გადაკვეთაზე გადახურივს ფილაში მოწყობილია ღიობი. საქმეშია, სამსახურის აზომვითი ნახაზი 15.07.2019წ.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2019 წლის 16 ივლისს შედგენილ იქნა მითითება №000858, რომლითაც მხარეს განესაზღვრა ოცი კალენდარული დღის ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2019 წლის 19 ივლისს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000858, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

საქმეშია, მხარის №10/01191981989-17 17.07.2019წ. განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება მუნიციპალური ინსპექციის №000858 16.07.2019წ. მითითებით დაწყებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას და მოთხოვნილია კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "ჰეფი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ლისი, საკ. კოდი №72.16.21.649-ში შ.პ.ს. "ჰეფი"-ს მიერ განხორციელდა ქართულ-ფრანგული ღვინის ტექნოლოგიების სამეცნიერო-სასწავლო კვლევითი ცენტრის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3343983 AR1513454 17.07.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ჰეფი" დაჯარიმდეს 10000 (ათიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ჰეფი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ჰეფი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე — შამუკა ჯაყელი